

სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემოწმების რეკომენდაცია

სასწავლო კურსის სახელწოდება

სასწავლო კურსის სახელწოდება დაწერილი უნდა იყოს შემოკლებების გარეშე და ზუსტად ემთხვეოდეს პროგრამაში არსებულ კონკრეტული სასწავლო კურსის შესაბამის დასახელებას. ერთი და იგივე სასწავლო კურსი ყველა პროგრამაში უნდა მოიცავდეს ერთნაირი რაოდენობის კრედიტებს და არსად არ უნდა მეორედ მოხდეს იდენტური დასახელების საგანი კრედიტების სხვა რაოდენობით.

სასწავლო კურსის კოდი

სასწავლო კურსის კოდი მინიჭებული უნდა ჰქონდეს დადგენილი წესის შესაბამისად - შვიდი ძირითადი და დამატებითი თანრიგები, რომლებიც ძირითადი ნაწილისგან გამოიყოფა ტირეთი. დამატებითი თანრიგები აღნიშნავენ სწავლების ფორმას და არის ლათინური ანბანის ასო (L - ლექცია, S - სემინარი, P - პრაქტიკული, B - ლაბორატორიული, K - საკურსო სამუშაო/პროექტი, R - პრაქტიკა). იგი ჩვეულებრივ არ ჩანს და გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ პროცედურებში (მაგალითად, მეცადინეობების ცხრილების ავტომატური შედგენის დროს). შემდგომში (როგორც სილაბუსში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში) გამოიყენება კოდის მხოლოდ ძირითადი ნაწილი.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული პროგრამის დასახელება უნდა ემთხვეოდეს იმ პროგრამის დასახელებას რომელსაც იგი ახლავს თან.

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური

აუცილებლად მონიშნული უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური.

ავტორი

სამუშაო ადგილის გრაფაში ჩაწერილი უნდა იყოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსის მისამართი და სხვა კოორდინატები, სადაც შესაძლებელია ავტორთან დაკავშირება. ეს ეხება მოწვეულ პროფესორსაც.

ავტორმა აუცილებლად უნდა მიუთითოს თანამდებობა, საკონტაქტო ტელეფონები და ელ-ფოსტის მისამართი (gtu.ge).

აუცილებელია ცხრილში მოცემული ყველა პუნქტის შევსება.

სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად. უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა მიზანს ემსახურება ეს პროგრამა და არა იმის შესახებ თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ კურსის გავლის შემდეგ. წაკითხვისას უნდა ირკვეოდეს მიზანი რომელ სასწავლო კურსს ეხება.

კრედიტების რაოდენობა

სილაბუსში მითითებული კრედიტების რაოდენობა აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგანმანათლებლო პროგრამაში კონკრეტული სასწავლო კურსისთვის მითითებულ რაოდენობას.

საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (კვირა/სემესტრი)

საათების განაწილება აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ საათების განაწილებას. ნებისმიერი საკონტაქტო საათი უნდა

იყოს 15-ის ჯერადი. დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა, როგორც წესი, უნდა იყოს სილაბუსით გათვალისწინებული კრედიტებით განსაზღვრული საათების საერთო რაოდენობის 50-70 პროცენტის ფარგლებში.

აუცილებლად უნდა იყოს შევსებული საკონტაქტო საათების შესაბამისი ყველა უჯრა, მათ შორის, „დამოუკიდებელი მუშაობის“ უჯრა.

დაშვების წინაპირობები

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებში უნდა იყოს მითითებული სასწავლო კურსი/კურსები, რომლებიც აუცილებლად ისწავლება ამავე პროგრამაში. იმ შემთხვევაში თუ სასწავლო კურსს არ გააჩნია დაშვების წინაპირობა იწერება ფრაზა „არ გააჩნია“. სილაბუსში მითითებული დაშვების წინაპირობა უნდა ემთხვეოდეს საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ ამავე სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობას.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები ნათლად და გასაგებად უნდა ასახავდეს თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ კურსის დასრულების შემდეგ, რას შეძლებს სტუდენტი.

აქვე უნდა იყოს მიეთითებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამიდან ის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენტურობები, რომელთა გამომუშავებასაც უზრუნველყოფს ეს სასწავლო კურსი.

შინაარსი (გამოუყენებელი ცხრილები უნდა იყოს ამოიშლილი):

ლექცია – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც სალექციო თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. ჩამონათვალი აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და უნდა იქნეს ცალ-ცალკე გაწერილი.

სემინარი – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც სემინარის თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე აღწერილობა. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და თითოეული უნდა იქნეს ცალ-ცალკე გაწერილი.

პრაქტიკული – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც პრაქტიკული თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და უნდა იქნეს ცალ-ცალკე გაწერილი. არ შეიძლება მისი დასახელებები იყოს სალექციო თემატიკის იდენტური.

ლაბორატორიული – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული, როგორც ლაბორატორიული თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან. არ შეიძლება მისი დასახელებები იყოს სალექციო თემატიკის იდენტური.

საკურსო სამუშაო/პროექტი – გაწერილი იყოს 15 მეცადინეობად, საკითხად, ნათლად და თანმიმდევრულად უნდა იყოს გაწერილი სამუშაოს შესრულების ეტაპები.

პრაქტიკა – პრაქტიკის საკითხები გაწერილი უნდა იყოს რაც შეიძლება ნათლად, გარკვევით და კონკრეტულად, თუმცა არ არის აუცილებელი გაწერილი იყოს 15 საკითხად.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

უნდა იყოს მითითებული სწავლების ფორმები და მათი შესაბამისი მეთოდები ვებ-გვერდზე არსებული ჩამონათვალის მიხედვით (<http://www.gtu.ge/quality/pdf/sc.pdf>). სილაბუსში მოცემული ფორმები და მეთოდები აღნიშნული უნდა იყოს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

აღნიშნული უნდა იყოს პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, ფორმები და მეთოდები ვებ-გვერდზე არსებული აღწერის მიხედვით (<http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>). მაგისტრატურისა და დოქტორანტურის შემთხვევაში დამატებითი წესები მოცემულია ვებ-გვერდის შემდეგ მისამართებზე http://gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf; http://gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf

ძირითადი ლიტერატურა

როგორც ძირითად ისე დამხმარე ლიტერატურას უნდა მიეთითოს სტუ-ს ბიბლიოთეკის მიერ მინიჭებული ინდექსი (შიფრი) და ლიტერატურის რეკვიზიტები.

ძირითადი ლიტერატურა უნდა იყოს სწავლების ენაზე.

დამხმარე ლიტერატურა

დამხმარე ლიტერატურად შესაძლებელია მითითებული იქნეს როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოურენოვანი სახელმძღვანელოები.

აუცილებლად შემოწმდეს აქვს თუ არა სილაბუსს ყველა საჭირო ხელმოწერა და ფაკულტეტის ბეჭედი.